აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

27 თებერვალი, 2018

დადგენილება №60(17/18)
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის პოლიტიკა დამტკიცდეს თანდართული ფორმით (დანართი CD-ის ფორმით).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

„სწავლა არის პროცესი, სადაც ცოდნა იქმნება
გამოცდილების ტრანსფორმირების გზით“
დევიდ კოლბი

აწსუ სასწავლო პროცესის მართვის პოლიტიკა

უნივერსიტეტში სწავლ/სწავლების პროცწესის ორგანიზებული განხორციელება უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობა და, ამავდროულად, უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა. სასწავლო პროცესის ორგანიზების ხარისხის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, სასწავლო-მეთოდური მუშაობა, პედაგოგიური, საწარმოო და პროფესიული პრაქტიკების მიმდინარეობის ორგანიზება სწავლების ყველა საფეხურზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პრიორიტეტია.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მუშაობა ეფუძნება სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზებას უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

სწავლა/სწავლების ორგანიზების მისაღწევად უნივერსიტეტი ეყრდნობა სასწავლო პროცესის მართვის ორგანიზების პროცედურულ მოთხოვნებს, თანამშრომელთა ჩართულობას და ახორციელებს პროცესებისა და პროცედურების მუდვივ გაუმჯობესებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის სისტემა შედგება პოლიტიკებისაგან, პროცედურებისა და წესებისგან, რომელზე დაყრდნობით წარიმართება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზება. ამ საქმიანობაში ფართოდ იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი).

ტერმინთა განმარტება:

პოლიტიკა წარმოადგენს სწავლა/სწავლების ორგანიზების პროცესში განსახორციელებელი საქმიანობის ზოგადი მიზნების პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას;

პროცედურა წარმოადგენს პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების მიღწევისატვის აუცილებელ საქმიანობებს, ამ საქმიანობაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს, საქმიანობის განხორციელების ვადებისა და მათი წარმართვის აღმწერ დოკომენტებს.

ინსტრუქცია/წესი წარმოადგენს სწავლა/სწავლების ორგანიზების პროცესის მმართველობითი ტიპის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სახელმძრვანელო მითითებებს, რომლებიც უნდა დაიცვან საქმიანობის დროს.

სასწავლო პროცესის სისტემა ეფუძნება
ორ ძირითად პოლიტიკას:

I. სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურა.
II. სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კვლევების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და პრაქტიკის შეფასების პროცედურა.

I. სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურა.

პროცედურის მიზანი

სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზებულ დაგეგმვას, მომზადებას, განხორციელებას,შეფასებას და ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

პროცედურის გამოყენების არე

პროცედურა გამოიყენება უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ.

პროცედურის განხორციელების წესები

ახალი სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურა შედგება ორი ფაზის და ერთი დამხმარ ფაზისგან.

- სასწავლო პროცესის მოსამზადებელი ფაზა,
- სასწავლო პროცესის განხორციელების ფაზა.

სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურა აგრეთვე შეიცავს შემდეგ დამხმარე პროცესსაც:

- შიდა და გარე სტუდენტური მობილობის პროცესის ფაზა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესები, რომლებიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურას:

1. აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმების შესახებ;
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესი;
3. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი;
4. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი;
5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ორგანიზების წესი;
6. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრის შემუშავების წესი;
7. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი;
8. აწსუ აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესი;
9. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
10. სასწავლო ცხრილის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი;
11. სტუდენტების მიერ განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისების, პირობების და ფინანსური ვალდებულების შესრულების წესი;
12. კურატორის უფლება-მოვალეობების წესი;

13. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127/ნ 2011 წლის 22 ივლისი;
14. საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ.

II.სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კვლევების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და პრაქტიკის შეფასების პროცედურა მიმართულია უნივერსიტეტის წიაღში მიმდინარე სწავლა/ სწავლების პროცესის მონიტორინგის, ფაკულტეტის მუშაობის ეფექტიანობის, სამეცნიერო - მეთოდური, სასწავლო მეთოდური, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პრაქტიკის შეფასების მუშაობის სახეების შფასებაზე.

პროცედურის მიზანი

- პროცედურის მიზანს წარმოადგენს დაგეგმილი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ფარგლებში სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

პროცედურის გამოყენების არე

- პროცედურა გამოიყენება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ

პროცედურის განხორციელების წესები

სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის შეფასების პროცედურა შედგება ოთხი ფაზისგან:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფაზა
- სამეცნიერო კვლევების მონიტორინგის ფაზა
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და პრაქტიკის შედეგების შეფასების ფაზა
- ფაკულტეტის მართვისა და საქმიანობის შიდა ეფექტიანობის შეფასების ფაზა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები და აწსუ-ს აკადემიურისაბჭოს მიერ დადგენილი წესები, რომლებიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის, კვლევების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და პრაქტიკის შეფასების პროცედურას:

1. აწსუ-ში აკადემიური პერსონალის, ხელშეკრულებით და საათობრივი ანაზღარების წესით მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მონიტორინგის, შედეგებზე რეაგირების და გაუმჯობესების წესი;
2. კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი;
4. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი;
5. აწსუ აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესი;

6. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო-მეთოდური, სასწავლო-ორგანიზაციული, სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის და სასწავლო პროცესის განხორციელებისა და მონიტორინგის წესი;
7. ფაკულტეტის მართვისა და საქმიანობის შიდა ეფექტიანობის შეფასების წესი;
8. სტუდენტის პირადი საქმის წარმოების წესი;
9. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის წესის დამტკიცების შესახებ;